[illegible] უნდა [illegible] [illegible], [illegible] არ [illegible] [illegible],
[illegible] კი [illegible] [illegible] [illegible]!..

გორის ციხე

წმინდა ილია მართლის საზოგადოების გორის ფილიალის არაპერიოდული გაზეთი

7 დეკემბერი 1989 წელი № 2 ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია წერა და აზრის მოკრება მაშინ, როცა შენც მთელ საქართველოსთან, ყველა ჭეშმარიტ ქართველთან ერთად წუხარ და სტირი.

მიდის კაცი, რომელიც სასიცოცხლოდ იწვოდა საქართველოსათვის. ტანჯვაში, წამებასა და ციხეებში გატარებულ ცხოვრების გზას ბოლო შემთხვევამ „წერტილი" დაუსვა.

წასვლა მისი დარჩენას ნიშნავს. წასვლა მისი [illegible] ნიშნავს. ნეტავ ეს უნდა გაიგოს ქართველი ერის დარაზმვას, შემაკავშირებელ ძალად

ჯერ კიდევ ბევრია სავალი ტაძრისაკენ მიმავალ იმ გზაზე, რომელსაც მერაბ კოსტავა ადგა. ამ გზაზე ყველამ ერთად უნდა იაროს, ერთად უნდა კვნოს, ანერიოს, აშენოს და მივიდეს იმ ტაძართან, რასაც თავისუფალი საქართველო ქვია.

კარგია ოცნება, მაშინ ხომ ასე ადვილად შეიძლება ყველა საჭირბოროტო საკითხის დადებითად გადაწყვეტა და საბოლოო მიზნის მიღწევა. მაგრამ მოდით, ოცნების ღრუბლებიდან მიწაზე დავეშვათ და ვნახოთ, რა ხდება სინამდვილეში.

„დიალოგი არაფორმალებთან" ეს ფრაზა, ბოლშევიკების ლიდერმა გორბაჩოვმა უკრაინაში ყოფნის დროს წარმოთქვა და ამა მისი გორელი დამქაშები რანი იქნებოდნენ, რომ თავიანთი „ბოსის" ნათქვამი არ აეტაცნათ.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოყვანილი იყო მერაბ ნადირაშვილის სიტყვები, წარმოთქმული გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე: „ჩვენ არაფორმალებს სიტყვითა და საქმით მხარში უნდა ამოვუდგეთ..., მაგრამ მუდამ ყველა საკითხში პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ."

„ჩვენში" ბატონი მერაბი ალბათ ბოლშევიკური პარტიის იმ პატარა ნაგლეჯს გულისხმობდა, სტალინის ძეგლს უკან მდებარე შენობაში რომ არის მოკალათებული, თბილ და რბილ სავარძლებში. სწორედ [illegible] პატარა ბოსები და მათი ლიდერის ნათქვამს ხმამაღლა გაჰკივიან.

ოღონდაც, კარგია თუკი შეხების წერტილები მოინახება და დიდი ეროვნული საქმე ერთად გაკეთდება. დიალოგი... აქვთ ბოლშევიკებს. მეტი ამას ხოლო მაკვირვებს. რამდენად გულწრფელია ეს განცხადება, პარტიულ-[illegible], თავად [illegible] ფაქტების ჩამონათვლის შემდეგ.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა „პატივს" სცემდნენ ბოლშევიკები ბატონ მერაბ კოსტავას. არცა, ტელევიზია თუ რადიო ყოველდღიურ ცდილობდა სახელი გაეტეხა მისთვის ხალხის თვალში. რას არ ჩმახავდნენ და იგონებდნენ იმისათვის, რომ ბატონ მერაბს დასაყრდენი გამოსცლოდა, ერი დარჩენილიყო და აკი მიაღწიეს კიდევ ნაწილობრივ განზრახულს. მაგრამ, მადლობა ღმერთს იღვიძებს ერი და ამის ნიშანია მერაბ კოსტავას ეროვნულ გმირად აღიარება. შეიძლება გულუბრყვილო კაცმა იფიქროს, დღეს გარდაქმნაა და გარდაიქმნენით ბოლშევიკებიც, „ნეტარ არიან მორწმუნენი."

ამ წლის 20 ოქტომბერს [illegible]. ეს დღე გლოვის დღედაა გამოცხადებული საქართველოში. გორში კი, ამ უძველეს და უდიდესი ტრადიციების მქონე ქართულ ქალაქში, უმნიშვნელო დეტალსაც კი ვერ შენიშნავთ, გლოვაზე რომ მიგანიშნებდეს. პატივცემულო მკითხველო ალბათ მშვენივრად გახსოვთ, როცა რომელიმე პარტიული ლიდერი აღესრულებოდა, რა პომპეზურობით გლოვობდნენ ხოლმე ბოლშევიკები ჩვენშიც. ჩვენ არ გვჭირდება ასეთი პომპეზურობა, მაგრამ თუ დიალოგი და თანადგომა სურს ოფიციოზს, ნუთუ ქირში არ უნდა გვითანაგრძნოს, ბარებსა თუ სასადილოებში, რესტორნებსა თუ ხმის ჩამწერ სტუდიებში გამაყრუებლად გუგუნებდნენ მაგნიტოფონები. ისმის ინგლისური, გერმანული თუ ინდური სიმღერები. გამწებით გაჰკივიან ფანრები. დავიჯერო ეს კაკაფონია არ აღწევს გორის საქალაქო კომიტეტამდე, ნუთუ მათ კომპეტენციას აღემატება კინოთეატრებში ფილმების ჩვენების შეწყვეტა. დიახაც პრინციპულობას იჩენენ ბოლშევიკები, ბატონო მერაბ ნადირაშვილო, ბოლომდე ავლენენ თქვენსავე უსულგულობას.

არ რამდენიმე ხნის წინ „წმინდა ილია მართლის" საზოგადოების გორის ფილიალის წევრი სოსო ლელუაშვილი ბატონ ამირან კირვალიძეს შეხვდა. საქმე ეხებოდა ფილიალისათვის ერთი სატელეფონო ნომრის გამოყოფას. დიალოგი და ალბათ გგონიათ, ბატონმა ამირანმა ხელის ერთი მოსმით გადაწყვიტა ეს უმნიშვნელო საკითხი. რა მწარედ ცდებით. ბატონმა ამირანმა ეთიკისა და მორალის ნორმების საყვარელი უგულებელყოფა გამოავლინა და კითხვაზე, თუ როდის გადაწყდებოდა საკითხი, უპასუხა „ხო, ნო, ვიცი, გაკეთდება" და ზურგი შეაქცია. თავად განსაჯეთ, ეთიკას და მორალს ასე ღრმად განსწავლულ პიროვნებასთან შეიძლება თუ არა დიალოგის გამართვა და საერთოდ არის თუ არა ეს პიროვნება ღირსი იმ თანამდებობისა, რომელიც მას უჭირავს.

წმინდა ილია მართლის გორის ფილიალის გამგეობის წევრი

გ. ჩერქაშვილი

„[illegible]"

1989 წლის 7 ნოემბრის ნომერში ილია მართლის საზოგადოების გორის ფილიალის წევრებმა [illegible] [illegible] გამართეს მიტინგი. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დიდი ხანია [illegible] ქართველი საზოგადოებისათვის [illegible] და [illegible], რომელსაც ყოველ წელიწადს [illegible] აღნიშნავს საქართველოს მთავრობა.

სიმპტომატურია იმისა, რომ წელს ასეთი „[illegible]" საქართველოში არ შესულა, ქალაქის მესვეურებმა თავი მაინც ვერ შეიკავეს [illegible] ინერციისაგან და წითელი დროშებით [illegible] ქუჩები და მოედნები, თუმცა [illegible] „სადღესასწაულო" განწყობილება არ იგრძნობოდა, როცა [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] ჩვენი [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] და [illegible] მიტინგზე [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] – [illegible] [illegible] საქართველოში [illegible] [illegible] 630 [illegible]. [illegible] საკითხი. იმ [illegible] [illegible] „[illegible]" [illegible] [illegible]: 10კმ. [illegible] [illegible] 138 [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ჩვენს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] ვერ [illegible].

მიტინგის მონაწილეებმა [illegible] ქალაქის [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] ბატონ გ. ნადირაშვილს [illegible] საზოგადოების [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] თუ არა [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 400 [illegible] [illegible] [illegible] ქალაქის [illegible]. ქალაქის [illegible] [illegible] [illegible] და ჩვენც, მიტინგის მონაწილენი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]

სანამ არ გაეცემოდა პასუხი დასმულ შეკითხვებს.

არ ვიცი რა პრინციპით მოქმედებდა ბატონი გ. ნაწიჩეიშვილი როცა მისვლისთანავე მიკროფონი დაიჭირა და "დაგვარწმუნა" - ასე უფრო [illegible]. გაიმართა "გულახდილი" დიალოგი და დაიწყო: რამოდენიმე ხნის ქალაქში მოსულა ჩვეულებრივი, ოფიციალურად დარღვეული ცნობა და მხოლოდ ტელეფონის მიღების შემდეგ მოჰყოლია შესაბამისი საბუთები, სადაც გაირკვა ის [illegible] რომ მიაკითხავდნენ და რომ ყოველივე ამის შემდეგ იქნენ სპეციალისტები მიწვეული, მათ დაადგინეს [illegible] და [illegible] სამი წლის წინანდელ [illegible] ქალაქის ხელმძღვანელობამ ის იმედი, რომ დამთავრდებოდა სარკოფაგის მშენებლობა [illegible] რაიონში, რომელიც სამ [illegible] და რომლის მშენებლობაც [illegible] მოსახლეობის მოთხოვნით გაუქმებული ყოფილა შეჩერებული.

სრულად მინდა შევახსენო რომ ეს სანაგვე ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური წერტილი, რომლის რაიონიდან არის შემოტანილი.

ოფიციალურად, თუ რატომ თვით ქალაქის ხელმძღვანელობამ არ მოისურვა გამოექვეყნებინა, ეს მერე რომ არ ეთქვათ [illegible] "[illegible]" წინადან და საზოგადოების მხარდაჭერით [illegible] თანამშრომლისათვის. რამდენიმე [illegible] შევახსენებ, რომ ეს იყო [illegible] 1965 წელი, ხოლო [illegible] კი ეს ეს არის გამოიცეს და საერთოდ [illegible] სხვა დრო იყო, არც არის გასაკვირი [illegible] იმ არც თუ მცირე ქართველი პარტიული მუშაკების [illegible], რომლებმაც არ შეუძლიათ საკუთარი [illegible] ატომურ [illegible]. ისინიც ამბობენ: "ჩვენ რა [illegible] და იმის იქით [illegible] მოსახლეობას პროტესტის სახით, რისთვისაც ადგილობრივი [illegible] 25% [illegible], "[illegible]" ([illegible] თავისი საქმითა იყოს)". არ მინდა დავიჯერო, რომ ჩვენი, ქართული [illegible] "[illegible]" [illegible]. თუმცა ბატონი გ. ნაწიჩეიშვილი დაგვარწმუნებს, რომ [illegible] ერთი გრამიც კი არ იქნა გამოვლენილი ამ სანაგვეში. [illegible] ქალაქში [illegible] და თვით [illegible], მაგრამ ვერას გაძებინათ.

ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში ასეთ ფაქტებს მოჰყვებოდა სასამართლო პროცესი. ტოტალიტარული იმპერიის პირობებში კი [illegible] თავის [illegible] და რა [illegible] თუ დარწმუნებული [illegible]. [illegible] ბატონი [illegible] შეგვპირდა, რომ [illegible] პასუხი გაეცემოდა [illegible], [illegible] 10-15 კაცი [illegible], [illegible] კი "[illegible]" [illegible].

[illegible] გავიგე: ბატონო გივი, თუ თქვენ [illegible] და [illegible] (არა საკუთარი სურვილით), რომ შეასრულოთ რა [illegible] და რა [illegible], [illegible] არ უნდა [illegible], რადგან [illegible] "[illegible]" [illegible] და [illegible], [illegible] და [illegible]! [illegible] "[illegible]" [illegible]. [illegible] კი [illegible] რა [illegible].

[illegible] კი, თუ [illegible] არ [illegible], რომ [illegible] კაცი თუ [illegible] არ შეიძლება, [illegible], რომ [illegible], [illegible] კი [illegible] არ [illegible], [illegible] რა [illegible] - [illegible] და [illegible] საქართველოს [illegible] ქალაქებს

და მოვლი დასაკუთრებულ ხიდებს - ვერაფერი ეთაყვა ჩვენმა ღმერთმა - ჩვენის მხრიდან.

"გვიხსენ, გვაცხოვრე და ნუ [illegible] ღმერთო ტყვეებს ჩვენი წმინდანი და ქრისტიანი, დავითი და დემეტრე, თამარი და [illegible], ყოველივე ტყვეანი ჩვენი [illegible], [illegible] სასიკვდილო და საცხოვრებელს".

სახელი უფალო, შეგვეწიე მოძღვრობა და გადარჩენოდეს ჩვენთა ... ამინ!

წმინდა ილია მართლის საზოგადოების
გორის ფილიალის, გამგეობის წევრი
ე. ბიჯამიშვილი

უძღები შვილი

ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. უმცროსმა ძემ სთხოვა - მიეცა მისი კუთვნილი წილი ქონებისა და გაუყო მამამ მათ ქონება. უმცროსი სამზღვარგარეთ გაემგზავრა. ცოტა ხანში დაკარგვებული ცხოვრებით მთელი მისი სარჩო გაფანტა. მალე იმ ქვეყანაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა. უმცროსი ძმა ერთ მაცხოვრებელს მიეკედლა და მის ღორებს მწყემსავდა, რათა ღორების საკვებით მაინც ამოევსო მუცელი, მაგრამ იმასაც არავინ აძლევდა. გონს მოეგო, იფიქრა - მამაჩემთან რამდენი დაქირავებული ჭამს პურს ჯანზე - მივალ მასთან და ვეტყვი - შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენს წინაშე და წავიდა მამასთან.

შორს მომავალი დაინახა მამამ ძე, სიხარულით გამოეგება - მან კი მიუგო - ღირსი არა ვარ შენს ძედ ვიწოდებოდე. მამამ მსახურებს უთხრა საუკეთესო სამოსელი ჩააცვით და ნასუქი ხბო დაკალით. უფროსი ძე მინდორში იმყოფებოდა, დაბრუნებისას მხიარულება დაინახა სახლში, მისი მიზეზი რომ გაიგო, მამას უთხრა: ამდენი წელია გემსახურები, ერთხელ თიკანიც არ მოგიცია, ხოლო შენმა ძემ, რომელმაც შენი ქონება მეძავებთან გაფლანგა, ნასუქი ხბო დაუკალი. მამამ უპასუხა - შვილო, შენ ჩემთან ხარ და ყოველივე ჩემი შენია, მაგრამ უნდა ვხარობდეთ, ვინაიდან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა.

როგორ ვგავართ ჩვენ დღეს უძღებ შვილს - განვუდექით ეკლესიას, უარვყავით ქრისტეს მცნება, ვზრუნავთ ჩვენს სხეულზე და სული კი დავივიწყეთ. დავკარგეთ სულის ჯანდაცვა და [illegible] ცოდვილი ხელისუფლებით. ეკლესია დგას და გველის და რამდენ სასიხარულოა თუნდაც მცირედი ჩვენი ნაწილის მისვლაც კი მასთან, როგორ ხარობს და ზეიმობს, ვით უძღები შვილის მამა ყოველი მისი დაკარგული შვილის დაბრუნებას.

საუკუნეების მანძილზე ქართველ ერის თავზე მრავალი განსაცდელი შეხვდა, მაგრამ ღვთის ერთგულებამ, ღვთის მარჯვენის გადამრჩენელ და განმამტკიცებელ ძალას მუდამ ვგრძნობდით. დღევანდელმა ჩვენმა ერმა საქართველოს გადარჩენა-აღორძინების გზა ეკლესიით უნდა გაიაროს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფამ, სწორედ ამ შეცდომებმა ააცდინა ადამიანი ღვთის გზას და გაუყენა სატანისას: ღმერთი არ არის და მოკვდი, ღმერთი არ არის და იცხოვრე, ისარგე მხოლოდ შენთვის, ღმერთი არ არის. და ცილი დასწამე, ! მოყვასსა შენსა [illegible] იყავი. ამ შეცდომებმა დაგვაკარგვინა მამისა და დედის პატივისცემა, [illegible] და ბოროტი სული, და [illegible] სატანის გზაზე.

ჩვენ უძრაობას ქვეყნისთვის სნეულება [illegible]. [illegible] მათ [illegible] თუ [illegible], - [illegible] ჯვარს გადაისახავს - ის კი ავიწყდება, რომ ყველა ნაბიჯზე, ყოველი საქმის გაკეთებისას და სიტყვის თქმისას იქ [illegible] მაცხოვარს და არღვევენ მის მცნებებს, როგორც სატანა მოუწოდებს:

ღვთის მიერ დაქცეულა ერი - აი, [illegible] და სამართალი ყოველი ნივთიერებისა. ამ მიწის გარეშე კი ადამიანი დაუმშვიდებელია, ამპარტავანი. - ის გაუცხოებულ ცხოვრებას ეწევა. [illegible] ღვთაებრივსა და ცოდვილში ჩვენ მხოლოდ ვხედავთ [illegible] - [illegible], ღვთაებრივი კი მიძინებულია. მოდუნებულია, რადგან [illegible] შემოჭრილი [illegible] ყოვლისშემძლე [illegible] ცნებით, სულისათვის ვერ ვიცლით.

ეკლესიურობა არის ჩვენი ხსნა მხოლოდ ტაძარში მისვლით და ჩვენით აღვადგენთ ჩვენში ღვთიურ ბუნებას და ვიზილავთ თუ რამდენ ცოდვილები ვყოფილვართ, რამდენ ტვირთს ვატარებთ სულში და [illegible] ჩვენივე უხეშურად ღმერთის შემწეობით მივყვებით იმას, რაც მაცხოვარი გვიქადაგებს: "აღიარებდით ცოდვებს ლოცვით და მარხვით, [illegible] და [illegible] [illegible]. განწმენდის შემდეგ ადამიანი იგებს [illegible] სხვა სიხარულს, ვიდრე ცოდვის დროს იღებდა, სიხარულს სულიერს და არა ხორციელს. "არა სიკვდილი ნებავს უფალს ცოდვილისა თვისა, არამედ მოქცევა მისი.

გაგრძელება იქნება

ერთ ტანკს უფრო მეტი ძალა აქვს თუ გორის საზოგადოებრიობას ?

ქართული ეროვნულობა აკავშირებს გორელებს ტანკთან, დაწყებული იმ ტანკიდან, რომლის შესაქმნელად სოლიდური თანხა გაიღო გორელმა [illegible] დამთავრებული დღევანდელი "ტანკით", რომლის კაპიტნის როლს ქალბატონი ლელა კიკნაძე ასრულებს.

დავიწყოთ პირველით, პატარა ისტორია ტანკის. [illegible] ტექნიკური [illegible] ეს [illegible] მანქანა. გარდა იმისა, რომ დიდი წვლილი შეიტანა ფაშისტური გერმანიის განადგურებაში, იგი ერთგულად ემსახურებოდა და ცხოვრების გზას უკვალავდა "პიონერ გორელებს". რა თქმა უნდა, ბრეჟნევიზმის პერიოდში ტანკი ვერ შეასრულებდა თავისი [illegible] მისიის [illegible], იგი [illegible] და დღეს მოგვევლინა [illegible] სარბიელზე

მანქანაზე, ქ. გორის სახალხო კონტროლის საბჭო, რომლის კაპიტნის მოვალეობას ბრწყინვალედ ასრულებს "გენერალ კონტროლიორი", ქალბატონი ლეილა კიკნაძე.

ამ მანქანასაც ბრწყინვალე ტექნიკური მაჩვენებლები გააჩნია. იგი მშვენივრად მანევრირებს და საკმაოდ დიდ მგზავრებსაც იტევს, ამიტომაც უაღრესად დიდ წარმატებას აღწევს გორის საზოგადოებრიობასთან ბრძოლაში. სწორედ მის კაპიტანზეა ნათქვამი: "ისე ჩქარიდე იყო თურმე, ვით მეხების კედელი".

გაეცანით ამ უთანასწორო ბრძოლის გულის ამაჩუყებელ შედეგებს:

წმინდა ილია მართლის საზოგადოების
გორის ფილიალის გ-მგეობას

საწარმოო გაერთიანება
"ქილის" მუშათა

განცხადება

ჩვენი გაერთიანების მუშათა კოლექტივმა ა/წ. აგვისტოს თვეში განცხადებით მივმართეთ გორის საქალაქო კომიტეტს, ამხანაგების: 1. ლ. კიკნაძის - სახალხო კონტროლის თავმჯდომარის, მისი მოადგილის თ. სამსონაშვილის და გორვაჭრობის დირექტორის ნ. ბენდიაშვილის მოხსნის თაობაზე, რომელთა მფარველობითაც გორვაჭრობის მაღაზიის გამგეები და გამყიდველები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს დამამცირებელ მდგომარეობაში აგდებენ. და სილატაკემდე მიყავთ მშრომელი ხალხის არსებობა, თვითონ კი ფუფუნებით ცხოვრობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგ კორვალიძეს არავითარი რეაგირება მოუხდენია ამხანაგების საქმიანობაზე. მართალია, ნ. ბენდიაშვილმა სამსახური შეიცვალა, მაგრამ ეს არა ჩვენი განცხადებით, არამედ ისევ თავისი სურვილით.

ამისათვის გთხოვთ ჩვენთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოთ საქმის გადაწყვეტაში, რომ მოვსპოთ მავნე ჩვევები ჩვენს ქალაქში.

სულ 61 ხელმოწერა.

"კომუნისტის" [illegible] ლ. ცომაიას

ღია წერილი გორის რაიკომის
ინსტრუქტორს
თამაზ გოგიაშვილს

ბატონო თამაზ! გაზეთ "გამარჯვებაში"/07.10.89/. დაიბეჭდა თქვენი მოსაზრებები საქართველოს კპ ცკ-ს ეროვნული კონცეფციის პროექტის შესახებ, სათაურით "ისახება სავალი გზა".

თქვენი წერილი, პირდაპირ ვიტყვით, სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ასეთ ორგანოში მუშაობს კაცი, რომელიც თავისუფლად აზროვნებს და უშიშრად აქვეყნებს ამ აზრებს გაზეთში. ვეთანხმებით თითქმის ყველა თქვენს მოსაზრებას /ერთი-ორი ნაკლებად მნიშვნელოვანი გამონაკლისის გარდა/. ამიტომ გაგვიჩნდა სურვილი თქვენთვის მოგვემართა რამდენიმე კითხვით, რომლებიც პასუხს "არავითარი მეცნიერული მეთოდიკა არ სჭირდება". /თქვენი სიტყვებით/, არამედ ნორმალურ მოითხოვს გულწრფელობას. კითხვები ეხება საკითხებს, რომლებსაც თქვენ ყურადღებას არ აქცევთ.

1. კონცეფციის პროექტში არაფერია ნათქვამი მრავალპარტიულობის შესახებ, არ ჩანს, ისევ "ავანგარდად" აპირებს კპ დარჩენას თუ არა. გვაინტერესებს თქვენი აზრი ამ საკითხებზე.

2. მიგაჩნიათ თუ არა პარტიად ის ორგანიზაცია, რომლის წევრიც თქვენ ხართ და რომელიც ხელისუფლებას ინარჩუნებს არა თანაბარი, პარლამენტური ბრძოლით, არამედ სამხედრო ძალით.

3. თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ კპ-ს წევრობით უკეთ შესძლებთ სიმართლის სამსახურს და კეთილი საქმეების კეთებას. ასეა?

4. თქვენი წერილის სათაური სრულიად არ შეესაბამება მის შინაარსს. წერილის წაკითხვის შემდეგ ძნელია კაცმა დაიჯეროს, რომ "ისახება სავალი გზა". ისიც ვფიქრობთ, რომ წერილი რედაქციამ დაასათაურა თქვენს დაუკითხავად. თუ ასეა, გაუგებარია თქვენი დუმილი.

იურ. კოლეგია

გვჭირდება თუ არა გორში ლენინის ქანდაკება?

პირად საუბარში ყველა გორელი, რა თქმა უნდა ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს. წარსულის ძეგლების ხელყოფა ბარბაროსობაა. ლენინის ქანდაკებები არ შეგვიძლია ძეგლებად ჩავთვალოთ, რადგან:

1. ლენინის სახელი გორს არ უკავშირდება. რამდენადაც ვიცით, იგი გავლითაც არ ყოფილა ჩვენს ქალაქში.

2. რაც თავი გვახსოვს, გორში ლენინის სახელს ყოველთვის ლანძღვა-გინებით იხსენიებენ /ხალხი "ლენინის სახელში" გარკვეულ იდეას დებს, თორემ ის ქვეყნად წასულთა ცუდად ხსენება არც შეიძლება და არც არავის სჭირდება/.

3. ადამიანის გალმერთება დიდი ცოდვაა, ხოლო ლენინის გალმერთება დღეს ორმაგი ცოდვა. ლენინის იდეებმა ადამიანში ბოროტი საწყისი გააღვიძეს, ამ იდეებისადმი მონური მორჩილება კი ადამიანის სრული დაცემის ნიშანია.

აქედან გამომდინარე, ლენინის ქანდაკებების აღება გორში იქნება არა ბარბაროსობა, არამედ სიკეთე, სიკეთე არა მარტო გორელებისათვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის და, თუ სიმართლეს ვიტყვით, მთელი კაცობრიობისთვისაც, რადგან ქართველებიც წილ-წილა ვხვდებით, რომ კაცობრიობის ერთი ნაწილი ვართ და არა ნაწილის ნაწილი.

ეს საკითხი ქუთაისელებმა ჩვენზე იუმორით გადაწყვიტეს. ავტოქარხნის წინ იდგა ს. ორჯონიკიძის ძეგლი. ა/წლის გაზაფხულზე, აქციისა და წითელი სალებავისაგან დასაცავად მას რკინის კოლოფი ჩამოაცვეს. იყო ასე ერთხანს. ერთდღეს, ერთ-ერთი უსარგებლო მიტინგის დროს მიტინგზე ვილაცას უთქვამს: "რომელი ბულბული ეს იყო, გალიაში რომ ჩაუსვიათ. მოსწყენიათ ქუთაისელებს "ბულბულის" გალიაში ჯდომა და ძეგლი აუღიათ.

* * *

ქალაქ გორშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მიმდინარეობს წვევამდელთა აქცია მოთხოვნით: იმსახურონ საქართველოს ტერიტორიაზე. საკმაოდ სამართლიანი მოთხოვნაა და მას ყველა ქართველი პარტიული თუ არაპარტიული მხარს უნდა უჭერდეს. მაგრამ ასე არ ფიქრობს ქალაქკომის მეორე მდივანი "ბატონი" ლოლაძე აქციის დაწყებიდან ორიოდე დღის შემდეგ მან "პატივი" დაგვდო და გვესტუმრა. თან განაცხადა, რომ ახალი აქცია და მისი მონაწილენი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში აყენებენ გაზაფხულზე გაფიცულ წვევამდელებს. ვფიქრობ და ვერ გამიგია რა ჰქონდა მხედველობაში "ბატონ" ლოლაძეს. მე მგონი ეს დაშინების პოლიტიკა იყო, მაგრამ უფიქრდება კი ზუსტად ხსენებული ოფიციალური პირი, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის განცხადებას. რომ შეიძლება შეშინდნენ ახალგაზრდები და შეწყვიტონ პროტესტი. ადვილი შესაძლებელია მაშინ ისინი რუსეთის რომელიმე მხარეში გაიწვიონ. აგებს ამ შემთხვევაში "ბატონი" ლოლაძე მათ სიცოცხლეზე პასუხს? ხომ არ გენიშნათ, რომ ეს არის ანტიქართული მოსკოვური პოლიტიკის გამოვლინებაქართველის მიერ?

კიდევ მრავალი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ მე მგონი ჯერჯერობით ესეც კმარა. დროა გაიხსენონ ოფიციალური წრეების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, რომ ჯერ ქართველები არიან და შემდეგ რუსეთის ბოლშევიკური პარტიის წევრნი. დროა ქართველმა ბოლშევიკებმა დაფიქრდნენ იმაზე, რომ მომავალმა თაობამ მათი წინამორბედებივით სამარცხვინო ბოძზე არ გააკრას მათივე გვარები. და თუ ისინი ამ შეგონებას ყურად არ იღებენ, მაშინ ერის ინტერესების დამცველი, ერის მომავლისათვის დაღუპული გმირის პატივისმცემელნი, საქართველოს უკეთესი მომავლის მდომნი ვუწოდოთ მათ თუ ერის მოღალატენი, ჯალათნი და ორგულნი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდვია ძვირფასო მკითხველო.

მწამს, რომ ქართველი ერი საკადრის პასუხს გასცემს ყველას, ქართველს თუ არა ქართველს, ვინც პატივს არ მიაგებს ყოველივე ქართულს ჩვენს მიწაზე.

მწამს, რომ ბატონი მერაბ კოსტავას მიერ გათელილ გზას ბოლომდე მივყვებით და გავიმარჯვებთ.

ეს სტატია ბატონ მერაბ კოსტავას სიტყვებით მინდა დავასრულო, რომლებიც მან სოფელ ფხვენისში გამართულ მიტინგზე წარმოსთქვა:

ჩვენი საქმე სამართლიანია!

ღმერთი არის ჩვენთან!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ
საქართველოს!

გია ჩეჩელაშვილი

დღეს უკვე აშკარაა და საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი უკვე დარწმუნებულია კომუნისტური პარტიის განწირვის ბოლო დღეებში. მაგრამ, როგორც ბევრს ახსოვს 9 აპრილის ამბავი, მოსალოდნელია გააფთრებულად უნდა [illegible].

მიუხედავად ამისა, ეს დიქტატორული პარტია განიარაღების ნაცვლად, იარაღდება და იმასაც ცდილობს, ვითომდა ერთგუ- [illegible]. [illegible] ალწევს მათგან ყველა ნაბიჯის დაჯერებს. ის მაინც რომ სასიკეთო ნაბიჯების ავტორად მოგვევლინოს, ჩვენ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ იგი მარიონეტია და ექვემდებარება ცენტრს, ის მაინც ყველაფერზე [illegible], ვიდრე არსებობს რუსეთის იმპერია - ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირი.

ამიტომ ჩვენ სიმართლეს თვალებში უნდა ვუყურებდეთ და ბრძოლა გავითვალისწინოთ, როგორც ამ მარიონეტულ მთავრობას, ისე მის დამქაშებს პროვინციებში.

მარიონეტული და ეშმაკეული პარტიამ თავისი ანტიდემოკრატიული, არაქართული და ყოვლად დაცემული მეთოდებით მოიცვა, რითაც კავშირში შექმნა კომუნისტური მაფია, რომლის ჯაჭვში ჩაბმულნი არიან როგორც ცკ-ს მდივნები, სუკ-ის თანამშრომლები, აგრეთვე რაიკომის მდივნები, მილიცია და სხვადასხვა წარმოების ხელმძღვანელები, ს/მეურნეობის დირექტორები და ა. შ. ერთი სიტყვით, "მოხელეების" მთელი არმია. ყველა თანამდებობის პირი რომ კომუნისტური მაფიის მანდატს უნდა აფარებდეს!?

გორის რაიონის სოფელ ფხვენისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ზურაბ მაჭარაშვილი ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლდათ ამ მაფიისა. რამ ცხრა მიყოლებით მხარში მოიყარა კეთილმოწყობის, სარდაფიანი აივნებიანი და მოლიგავალი საფურავიანი სასახლის წამოჭიმვა, საკუთარი სარწყული მიწების გაკეთება, /თვითონ მხილიერი ცნობრობს/ და ბევრი სხვა "ოპერაციები" [illegible] ჩაატარა. საბოლოოდ კი მიადგა სოფლის მაღაზიის შეკეთებას, აბანოს, საბავშვო ბაღის აშენებას, სოფლის განათებას უზრუნველყოფა. სოფლის ავარიულ მდგომარეობაში აქვს კლუბი. არავითარი ყურადღება არ ექცევა სოფლის შუასაუკუნეების კულტურის ძეგლებს /ლევან მეფის, წმინდა გიორგის, ნათლისმცემლის ეკლესიებს, ამილახორების კოშკს/ [illegible] სიმართლისა და პატიოსანი ცხოვრების წესის პოვნას. არაჯეროვანი ურთიერთობა [illegible]. კომბინატორები კი [illegible] და [illegible] სიკეთეს, წინაპრების მიერ გადარჩენილს და ჩვენამდე მოღწეულს.

ეროვნული მოძრაობის დაწყებამ [illegible] როგორც გორში, სადაც შეიქმნა წმინდა ილია მართლის საზოგადოების ფილიალი, აგრეთვე სოფლებშიც. ამ საზოგადოების წევრები გადიან [illegible], სულ ათი კაცი. ეს ამბავი რა ამბავი უნდა, სოფლის მოსახლეობას გულზე არ დაეტყოთ. [illegible] და [illegible]: "ამაზე რა უნდა ვილაპარაკოთ"... მაგრამ არც ზურაბ მაჭარაშვილის მერჩი ის ერთი დიდი" და არც სხვა [illegible] მერჩება. ამაში უკვე დარწმუნდა სოფელი, როცა სოფლის პატრიოტებმა, წმინდა ილია მართლის საზოგადოების გორის [illegible] დახმარებით ჩაატარეს სოფლის კრება.

წლობით დაგროვებული და პირის წყალჩაგუბებული [illegible] ამ ამბის.

ამჟამად ზ. მაჭარაშვილის საქმიანობა [illegible] და მოთავეა მისი მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან.

"ყოვლისშემძლე" დირექტორი იძულებული გახდა საკუთარი განცხადებით წასულიყო, წასულიყო [illegible]ლისაგან შერცხვენილი... შერცხვენილი არა მარტო როგორც დირექტორი, არამედ როგორც კომუნისტების მაფიის წარმომადგენელი.

ხალხს უნდა ჰქონდეს რწმენა, სიმართლის ძლევა. რამეთუ პიროვნული თავისუფლებიდან იწყება ერის თავისუფლების უზენაესი იდეა.

ვფიქრობ მოვუწოდებთ ყველას, სხვა სოფლების თუ ქალაქების მაგალითზე, რომ ადგილებზე აირიონ მარიონეტი მთავრობის მარიონეტი დამქაშები, ცკ-ს ბლოკონის ზარს მიყურადებულნი და მათი ერთგულესი კარისკაცები, რომელნიც დედასაც მოკლავენ ილიას თუ უბრძანებენ.

ჩვენთან არის ღმერთი!

გ. კაბროშვილი

ოსური მოძრაობა და ქართველთა ქაქანი

ე. წ. სამხრეთ ოსეთში გაჩაღებულია მოძრაობა ოსური სახელმწიფოებრიობის დასამკვიდრებლად. ამ მოძრაობის წინააღმდეგ საქართველოს ოფიციალური და ოფიციალურთან დაახლოებული საზოგადოებრივი წრეების მიერ წარმოებული აგიტაცია-პროპაგანდა მეტად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. უფრო მეტიც, მან თავისი ჩვეული კომუნისტური მოქმედებით, უტიფრობით, არაპირდაპირობით, ლოზუნგური ხასიათით უარესად დაძაბა ვითარება. ოფიციოზში ძველებურად ცალკეულ "ექსტრემისტულ" და "ამბიციურ" პირებს ეძებს და ვერაფრით მიმხვდარა, რომ ამით მათ წისქვილზე ასხამს წყალს - ოსური მოძრაობა მალე, ალბათ, სახალხო ხასიათს მიიღებს.

მიხეილ ჯავახიშვილის ჯაყო დღეს კულტურული, განათლებული გახდა და დახვეწილი ხერხებით ცდილობს ფეხის გადგმას ახალ მიწაზე. თეიმურაზ ხევისთავი კი პირიქით - ღირსების გრძნობა და გამჭრიახობა არ მომატებია, ძველი კულტურისა და განათლების მაგივრად კი ჩანჩქერივით სიტყვა დაიზეპირა "ძმობასა" და "მეგობრობაზე"...

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით თავი ოსების ადგილას: ჩვენ (ოსებს) გვგონია, რომ მიწა ("სამხრეთ ოსეთი") ჩვენია და, ბუნებრივია, ამ მიწაზე საკუთარი სახელმწიფოს შექმნაც გვინდა (როგორც ყველა სრულფასოვან ერს). ქართველები ამის პასუხად გაიძახიან - ჩვენ ძმები ვართ, მეგობრები ვართ, მხარდამხარ გვიბრძოლია და გვიშრომია და კვლავაც ერთად უნდა ვიყვეთ. ჩვენ გვეკითხებით მეგობრები ვართ, მოგვეცით ნება ჩვენს მიწასა და ჩვენს თავს ჩვენვე მოვუაროთ, ასე ხომ უფრო სამართლიანი იქნება!

აი, ასე გაჩნდა "სამართლიანი" იდეა და მისთვის მებრძოლი საზოგადოება "ადამონ ნიხასი". თავს ნუ მოვიტყუებთ და პირდაპირ ვთქვათ - ჩვენი [illegible] გასპეკულირებულმა ამ იდეამ უბრალო, რიგითი ოსის გულსა და გონებაშიც შეაღწია. ამიტომ რაზმელიც გიჩნდა [illegible] ბ-ნ ალან ჩოჩიევსა და სხვებს "ექსტრემისტობა" და "ამბიციურობა", რაც მოიტანა, თუ არა ის უბრალო ოსის სიყვარული და "ექსტრემისტებისათვის" წამებულთა გვირგვინს.

ოსური მოძრაობის ხელმძღვანელთა ნაციონალისტობად, ექსტრემისტობად, ავანტიურისტებად, უპატრიოტობად და ა. შ. მონათვლის ნაცვლად (საერთოდ მათ და ყველა ოსს წყნარად, პირდაპირ და მშვიდად ვუთხრათ,

რომ "სამხრეთ ოსეთი" უძველესი ქართული მიწაა;

რომ საქართველო ჯერ კიდევ [illegible] მიწის არც ერთ მტკაველს არ დათმობს;

რომ ჩვენ არ ვაპირებთ ვინმეს საქართველოდან გაგდებას;

რომ პატივს ვცემთ ოსების უფლებას იქონიონ საკუთარი ენა, საკუთარი სკოლები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, ამასთან, ეს ყველაფერი მათ უნდა იქონიონ საკუთარი მონდომებით, ინიციატივით, სახსრებით და არა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, [illegible], არა ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ხარჯზე საქართველოში;

რომ ჩვენ მოვითხოვთ ოსური ავტონომიის გაუქმებას იმიტომ, რომ საქართველოს სახელმწიფო ერთადერთია დედამიწაზე, რომელიც ქართველი ერის ინტერესებს იცავს და ყველა ერმა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე უნდა შექმნას თავისი უფლებების დამცველი სახელმწიფო;

რომ საქართველოს სახელმწიფომ ქართველი ერის ინტერესების გარდა უნდა დაიცვას თავისი მოქალაქეების უფლებები განურჩევლად მათი ეროვნებისა. აგრეთვე ეროვნების განურჩევლად ყველა მოქალაქე ვალდებულია პატივი სცეს სახელმწიფოს და, მაშასადამე, მის მფარველობის ქვეშ მყოფ ქართველ ერსაც.

ყველაფერ ამის ნაცვლად, ვდგავართ და "ინტერნაციონალიზმზე" ვქადაგებთ.

ოსები პირდაპირ გვეუბნებიან, რომ არ ცნობენ ისტორიულ არგუმენტებს და არ მიაჩნიათ თავი მოსულებად (გაზ. "ადამონ ნიხასი"; გაზ. "კომუნისტი", 15. 10. 89), ჩვენს ოფიციოზს კი ყურით მოთრეული "ხალხთა მეგობრობა" აკერია მხოლოდ პირზე. ..ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვების - ნამდვილად ყურითაა მოთრეული ეს ცნება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმპერიულ სისტემებში ჩნდება, როგორც გამაყრუებელი, აბსტრაქტული პოლიტიკის აუცილებელი ელემენტი. მეგობრობა მხოლოდ პიროვნული შეიძლება იყოს და არა ნაციონალური (რაც აუცილებლად იგულისხმება "ხალხთა მეგობრობაში"), რადგან ურთიერთსიყვარული, ურთიერთსწრაფვა მასიურ დონეზე ვერ განხორციელდება. სხვა ერების გაცნობის დაუოკებელი სურვილი, მათი კულტურით საკუთარი თავისა თუ საკუთარი ერის (ე. ი. საკუთარი თავის მსგავსი პიროვნებების) გამდიდრებაც მხოლოდ პიროვნული მოვლენაა და არ შეიძლება მას "ხალხთა მეგობრობა" ვუწოდოთ. "ხალხთა მეგობრობა" არ არსებობს იმდენად, რამდენადაც არ არსებობს "ხალხთა მტრობა"...

აშკარად ჩანს, რომ ცალკეულ პიროვნებებთან ბრძოლა და მოწოდებანი ძმობისაკენ საპირისპირო შედეგს იძლევა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ა. ჩოჩიევის მიერ აფხაზეთისადმი მიძღვნილი წერილის ქართულ გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ "ადამონ ნიხასის" წინააღმდეგ დაიწყო ფართო "შეტევა" [illegible], არაფრისმთქმელი, მშრალი, უბრალოდ შეურაცხმყოფელი სიტყვებით. [illegible] მძლავრი გაფიცვები, რაც მოძრაობის მასობრივ ხასიათზე მიგვანიშნებს.

საკუთარ [illegible] თავზე ახვევენ ოს ხალხს, გაიძახიან ქართული ოფიციალური გაზეთები. საოცარია პირდაპირ, როგორ დაიჯერეთ, რომ ბ-ნ ა. ჩოჩიევს (და სხვებს) უფრო მეტად სწყურია ოსური სახელმწიფო, ვიდრე ოს გლეხს, რომელიც [illegible] ჩამოვიდა ბარში, ნოყიერ მიწაზე დასახლდა და კარგი სახლიც აიშენა და რომელსაც გენებში აქვს [illegible] ქართული სახელმწიფოს შიში. სწორედ ამ გლეხს უნდა ვაგრძნობინოთ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური მექანიზმის საშუალებით, რომ სხვის მიწაზე ცხოვრობს და ამ სხვას პატივი უნდა სცეს, თუ უნდა ჩვენთან ცხოვრება.

[illegible] საქმის არსი!

ჩვენ კი არა და არ გვინდა ამის გაგება. რატომღაც ? გვესმის, რომ სოციალისტურმა იდეოლოგიამ ხალხი აზროვნებას გადააჩვია, რომ ადამიანებს მოვლენათა მხოლოდ გარეგნული მხარეების [illegible] შემორჩათ და ფესვების ძიება არ სურთ ; მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს ! როდემდე უნდა ვატაროთ ყველაფერი "ადამიანთა ერთ მცირე ჯგუფს"? იტყვა:

"აზროვნების წესი უნდა შეიცვალოს" (ა. ბაქრაძე, "ლიტ. საქართველო", 28. 04. 89) და ეს აზრი თითქოს ყველამ გავიზიარეთ, მაგრამ გავიაზრეთ კი ?

დათო ლასამნიძე

02. 11. 89

გაზეთ "ადამონ ნიხასის"(№ 1) მიმოხილვა

"ოსეთის"სახალხო ფრონტის ორგანოს "ადამონ ნიხასის"(სახალხო კრება") პირველი ნომერი უთარიღოა (წერილების მიხედვით ნომერი გამოსულია არა უადრეს ამა წლის 10 აგვისტოსი). ამ გაზეთის ეგზემპლიარი, რომელიც ხელთ ჩაგვივარდა, რუსულ ენაზეა. გაზეთის სახელწოდება ("ადამონ ნიხასი"), დევიზი და გამომცემი ორგანიზაციის დასახელება ("ოსეთის სახალხო ფრონტის ორგანო") აწერია ოსურად ლათინური შრიფტით. დევიზი არის ინგლისურადაც ("მხოლოდ უიმედოთათვის, რომელთაც იმედით ცოცხლობს ადამიანი").

შევეცდებით დაინტერესებულ მკითხველს მივაწოდოთ ამ გაზეთში მოთავსებული მასალების მოკლე მიმოხილვა.

პირველია "გარდაქმნის მხარდამჭერი სამოქალაქო მოძრაობის "ადამონ ნიხასის" პროგრამის იდეები". იდეები ჩამოყალიბებულია 10 პუნქტად: 1. კრიზისული სიტუაცია სსრკ-ში და ახლანდელი ვითარების გარდამტეხი ხასიათი; 2. "ადამონ ნიხასის" არსი და ამოცანები; 3. ეკოლოგია; 4. ეკონომიკა; 5. სოციალური პოლიტიკა; 6. კულტურა და მეცნიერება; 7. ეროვნული საკითხი; 8. ეთიკა და რელიგია; 9. დამოკიდებულება სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან; 10. ბრძოლის მეთოდები და ხერხები. ამ იდეებში "სამხრეთ ოსეთი" წარმოდგენილია დანარჩენი საქართველოსაგან განცალკევებით მდგარ ერთეულად, რაც შეესაბამება კიდეც მის ავტონომიას. პუნქტი ეროვნულ საკითხზე მთლიანად მოცემულია გაზეთ "კომუნისტში"(15. 10. 89). სხვა დანარჩენში ეს პროგრამა დიდად არ განსხვავდება ქართული თუ სხვა დემოკრატიული საზოგადოებებისა და ფრონტების პროგრამებისაგან - მისი მთავარი მიზანია ადამიანის ეროვნული და მოქალაქეობრივი ღირსების გაღვივება.

მეორე სტატიაა "გარდაქმნის მხარდამჭერი სამოქალაქო მოძრაობის "ადამონ ნიხასის" მიმართვა ოსი ხალხისადმი". მიმართვის არსი შემდეგია: დღეს, "როცა კვლავ დგება დღის წესრიგში ოსი ერის გადარჩენისა და მისი სულიერი და პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხი", საჭიროა "ერის მთვლემარე ძალების აღორძინება და გაერთიანება, საჭიროა "ყველა ოსმა გაიგოს, რომ სამშობლო საფრთხეშია". "ადამონ ნიხასი" მიმართავს ოს ხალხს, მხარი დაუჭიროს მის იდეებს და ხელი შეუწყოს მოღვაწეობაში.

შემდეგია "პ. ი. აბაევის წერილი გაზეთ "ადამონ ნიხასს"". ცნობილი ენათმეცნიერი აღნიშნავს, რომ გასცნობია "ადამონ ნიხასის" წესდებას და მთლიანობაში მოუწონებია.

შემდეგ დაბეჭდილია ა. ჩოჩიევის ცნობილი მიმართვა "ძვირფასო ამხანაგო მეგობრებო!", რომელიც ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა.

ამას მოსდევს -"ადამონ ნიხასს" აფხაზეთის სახალხო ფრონტისაგან. ძვირფასო ოსო ძმებო!". აი, ამ საპასუხო, გულთბილი მიმართვის დამახასიათებელი ფრაზები: "ათასობით წლების მანძილზე ალანები და აფხაზები მეზობლები და ძმები იყვნენ". "ჩვენი მტკიცე რწმენით, არ უნდა იყოს ორი ოსეთი...ოსები ცხოვრობენ თავიანთ საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე...". "ჩვენი მიზანი ერთია - ერთიანი დემოკრატიული ლენინური პრინციპების აღდგენა". მიმართვის ბოლოს წერია: "სოხუმი, 29. 03. 89 წ. სულ 297 ხელმოწერა".

"სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობა პროტესტს [illegible] ბერძენიშვილის გამოწვევას I სსრკ უმაღლესი საბჭოს, ასლები: საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს, ს/ო საოლქო აღმასკომს, გაზეთ "ზარია ვოსტოკას" რედაქციას, დეპუტატ ბ. ბერძენიშვილს". ამ წერილში აღნიშნულია, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს/ო-ის ლენინგორის რაიონიდან, ბ. ბერძენიშვილმა, საქართველოს ტელევიზიით გადაცემულ გამოსვლაში თსუ-ში გამართულ შეხვედრაზე მოითხოვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება. "19 მაისი 1989წ. სულ 489 ხელმოწერა".

გ. ცხოვრებოვი სტატიაში "თეთრი ადამიანის ტვირთის სინდრომი ?" ცდილობს წარმოაჩინოს ქართული ნაციონალიზმის დამღუპველი ხასიათი: საქართველოში ეროვნებათაშორისი უთანხმოება, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს ქართველებისა და არაქართველების გლობალურ წინააღმდეგობაში, ძირითადად გამოწვეულია ქართული ინტელიგენციის ზოგიერთი წრეებისა და ე. წ. "არაფორმალთა" იმპერიული ამბიციებით. დიდი მონდომებით ინერგება იდეა ქართველი ერის "ღვთისრჩეულობისა", რომელსაც ქრისტიანული სიყვარულით "შეიფარა" მრავალრიცხოვანი "სტუმარი", მისცა მათ კულტურა და განათლება, სამაგიეროდ კი მიიღო შავი უმადურობა. ქართველი ნაციონალისტები "დიადი, ერთიანი, თავისუფალი, განუყოფელი საქართველოს" მომავალზე რესპუბლიკის სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან "მოლაპარაკებისათვის" იდეოლოგიურ პლატფორმად მიიჩნევენ მოთხოვნებს, რომლებიც სამ ძირითად დებულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს. 1) რესპუბლიკის მოსახლეობა იყოფა "პატრონებად" და "სტუმრებად", "მკვიდრებად" და "არამკვიდრებად" (აქ გ. ცხოვრებოვი ერთ-ერთ მიტინგზე ზვიად გამსახურდიას ნათქვამს იმოწმებს... "ლენინსკოე ზნამია", № 176). ეს წმინდა წყლის რასიზმია, თან იმდენად აშკარა, რომ მისგან საზღვარგარეთმაც კი პირი იბრუნა. ტყუილად ხომ არ ჩივის გ. ფანჯიკიძე თავის წერილში (კომუნისტი, 26. 07. 89) -"...განგვიდგნენ ჩვენი წინანდელი მეგობრები - საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები, მეზობელი ინტელიგენციისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ჟურნალისტები". 2) ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობა უნდა ჩაითვალოს იდეალურ მოდელად რესპუბლიკაში ეროვნული ურთიერთობებისათვის. მაგრამ, ებრაელები აღიარებენ, რომ არ არიან მკვიდრები; თანდათანობით სტოვებენ რესპუბლიკას; კულტურის მხრივ საკმაოდ ასიმილირებულნი არიან ქართველობაში. გასაგებია, რომ ეს "მოდელი" არ გამოდგება, მაგალითად, აფხაზებს და ოსებს, რომლებიც მოითხოვენ რეალურ სუვერენიტეტს და თანასწორ ურთიერთობას როგორც თბილისთან, ასევე მოსკოვთან. 3) საქართველო უნდა გამოვიდეს სსრკ-დან, უნდა იყოლიოს საკუთარი სამხედრო ფორმირებანი და ა. შ., ეროვნულ კრიტერიუმებს, ამასთან, გარანტირებული ექნებათ კულტურის, ენისა და ა. შ. თავისუფალი განვითარების უფლება. აშკარაა, თუ რა ეკონომიკური თუ პოლიტიკური კატასტროფა მოელის "დამოუკიდებელ საქართველოს". იქნებ "ეროვნული სამხედრო ფორმირებებით" აპირებენ თურქეთისა და ირანისაგან თავის დაცვას ? "დამოუკიდებლობის" არსებობის ხანმოკლე გამოცდილება ხომ გვიჩვენებს, რომ ამ ფორმირებებს გარეშე ოკუპანტების წინააღმდეგ კი არა, ეროვნებათაშორის კონფლიქტებში იყენებდნენ, ჩაახშეს რა სისხლში, მაგალითად, ანტიმენშევიკური აჯანყება აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. რაც შეეხება "გარანტიებს", ყველა ხალხმა თავი თავისუფლად უნდა იგრძნოს და, მაშინ, აღარ იქნება საჭირო, მაგალითად, ოსებისათვის საწყალობლად რაიმეს გარანტირება, შექმნა, ნების დართვა და ა. შ.

გ. ვ. ცხოვრებოვას სტატიაში "ენა, ენის, ენას...ენით! მშობლიურით !" ლაპარაკია ოსური ენის მძიმე მდგომარეობაზე, მისი შენარჩუნებისა და განვითარების სიძნელეებზე: ოსური ენის საკითხი მხოლოდ ერთიანი ოსური სახელმწიფოს შექმნით გადაწყდება. მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროა მასზე ზრუნვა, მით უმეტეს ახლა, როცა ქართული ენის განვითარებისათვის გამიზნული ენერგიული მოღვაწეობა ს/ო-ის რთულ ენობრივ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. მრავალეროვნებამ წარმოშვა ახალი, ოსურ-ქართულ-რუსული, "ცხინვალური" ენა. დაკარგულია ბუნებრივი უნარი და სურვილი მშობლიურ ენაზე აზროვნებისა. ხშირად ვჩივით ჩვენი ლიტერატურის პროვინციალურობაზე. თუმცა, გასაგებია - ლიტერატურაში ხშირად მიდიან ადამიანები არა შემოქმედებითი ნიჭით, არამედ ოსური ენის ცოდნის [illegible] გამოყენების სურვილით. ჩვენი ნიჭიერი, ინტელექტუალური ახალგაზრდობა კი სხვა ენებს ეტანება. მშობლიური ენისა და ლიტერატურისაკენ დაბრუნების დაძლევის ერთ-ერთი საშუალება შეიძლება გახდეს ოსური სკოლა (ოსური და არა სკოლა ოსურის გაძლიერებული სწავლებით), რომელშიც მომავალი თაობები სამყაროს მშობლიურ ენაზე შეიცნობენ.

ოსური სკოლა სულაც არ ქმნის თვითიზოლაციის, მსოფლიო ცივილიზაციისაგან მოწყვეტისა და ოსური კულტურის ჩიხში მომწყვდევის საშიშროებას, როგორც ამას მიუთითებენ მისი მოწინააღმდეგენი, აღნიშნავენ რა ეროვნული კადრების, მაგ. ბანის და სხვ. ეკონომისტების. მართლაც, რუსულის გაძლიერებული სწავლება და, ასევე, რუსულენოვანი ინფორმაციის სიუხვე მოსწავლეს არ მისცემს საშუალებას განუდგეს ერთაშორისი ურთიერთობის ენას; უცხო ენების სწავლებაც სავალდებულო იქნება. რაც შეეხება ქართულს, მისი სწავლება სავალდებულო არ უნდა იყოს, რადგან მეორე სავალდებულო ენის შემოღება გადატვირთავს პროგრამას, რითაც დაზარალდებიან სხვა საგნები, პირველ რიგში მშობლიური ენა. ამბობენ, რომ ს/ო-ის საქ. სსრ-ს შემადგენლობაში ყოფნა გვავალდებულებს ქართულის ცოდნას. რატომ ? ნუთუ ერთაშორისი ურთიერთობის ენა გაუქმებულია ? ანდა, რამ შეიძლება დაავალდებულოს ერთი ხალხი იცოდეს მეორის ენა, თუ არა საარსებო საჭიროებამ ?! სამხრეთ ოსებმა ყოველთვის საკმაოდ იცოდნენ ქართული, ოღონდ დაუძალებლად, საკუთარი სურვილით. ასევე უნდა იყოს ახლაც. სხვა საქმეა რუსული ენის აუცილებლობა, რომელიც ძირითადი მეგზურია ოსთათვის მსოფლიო კულტურაში და ასეთად ქართული ვერ გამოგვადგება, მითუმეტეს, რომ თვითონ ქართველების კავშირიც ამ კულტურასთან უზრუნველყოფილია არც თუ მთლად რუსულის გარეშე. ქართველებს ძალიან არ მოსწონთ ორენოვნება, მაშ, ოსებისთვის რატომ უნდა იყოს სასარგებლო მრავალენიანობა ? ქართველი ხალხის ზრუნვა საკუთარ ენაზე ძალიან კარგია და საპატივსაცემოა, მაგრამ პატივისცემა ყოველთვის იქ თავდება, საიდანაც იწყება სხვა ხალხის უფლებების უარყოფა. ეს კი ცარიელ სიტყვებად აქცევს ოფიციალურ მოწოდებებს სიმშვიდისაკენ და ლაპარაკს ძმობასა და მეგობრობაზე. ს/ო-ში ქართულის სავალდებულოდ გამოცხადება აუცილებლად გამოიწვევს ოსების ძალდატანებით ასიმილაციას. ოსურ კულტურას რომ დავუბრუნოთ საერთოსაკავშირო ინტერნაციონალური ჟღერადობა, რომ აღვადგინოთ ის, საჭიროა ოსი ხალხი შემოვაბრუნოთ საკუთარი ენისაკენ, რაც შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური რეფორმებით.

გაზეთის მომდევნო ნაწილში მასალა ეხება მოსკოვის ოსური კულტურის საზოგადოების -"ფარნის" თავმჯდომარის კიმ ცაგოლოვისა და მისი მოადგილის ზაურ აბოევის წერილს - "ღია წერილი ალან ჩოჩიევს", რომელიც 27 ივლისის გაზეთ "სოვეტსკაია ოსეტიაში" გამოქვეყნდა (შემდეგ ქართულ პრესაშიც გადაიბეჭდეს, ვგონებ "კომუნისტში"). წერილის ავტორები, როგორც ვიცით, თვლიან რომ ა. ჩოჩიევის და, საერთოდ "ადამონ ნიხასის" მოქმედება ხშირ შემთხვევაში მცდარია და აღვივებს ეროვნებათაშორის შუღლს. ამ წერილთან დაკავშირებით გაზეთ "ადამონ ნიხასის" რედაქცია აღნიშნავს: საზოგადოება "ფარნის" გამგეობისა და უხუცესთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ "ადამონ ნიხასის" წევრები, განიხილეს ეს "ღია წერილი" და დაგმეს მისი ავტორების მოქმედება, რომლებმაც არაფერი აცნობეს "ფარნის" დანარჩენ წევრებს და შელახეს ამ საზოგადოების პრესტიჟი სამხრეთ ოსეთში.

აქ მოყვანილია ქ. ცაგოლოვისა და ზ. აბოევის ამა წლის 10 აგვისტოთი დათარიღებული წერილი გაზეთ "სოვეტსკაია ოსეტიის" მთავარ რედაქტორს, ასლი: სკპ-ის ს/ო-ის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ა. გ. ჩეხოევს". ისინი აღნიშნავენ: ჩვენი წერილი გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველებსა და სამხრეთ ოსებს შორის დაძაბულობის შემცირების სურვილით. წერილი იყო პირადი. სამწუხაროდ იგი გამოქვეყნდა, თანაც, "ფარნის" სახელით. ამ ფალსიფიკაციაში ჩვენ [illegible].

ამას მოსდევს "ადამონ ნიხასის" ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის სტატია -"ვისთან ხარ, კიმ მაკედონოვიჩ ? ღია წერილი კიმ ცაგოლოვს". მასში ნათქვამია: თქვენმა წერილმა

დიდად გაახარა "ადამონ ნიხასის" ყველა მოწინააღმდეგე. გასული წლის ოქტომბრიდან მიყოლებული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი პირდაპირ ღვარძლს ანთხევენ არაქართული მოსახლეობის მიმართ. "სტუმრებად" გამოგვაცხადეს. ლაპარაკობენ არაქართველთა გამრავლების ადმინისტრაციულ რეგულირებაზე. უნდათ, რომ რესპუბლიკის ყველა დაწესებულება ქართულ ენაზე საქმიანობდეს, ყველა მაცხოვრისათვის სავალდებულო იყოს ქართულის სწავლა. ეს კიდევ არაფერი. "არაფორმალები" დაუფარავად მოითხოვენ საქართველოს სსრკ-დან გასვლას, უწოდებენ რა მას "რუსეთის დამპალ იმპერიას", ავტონომიების გაუქმებას, "კომუნისტური რეჟიმის" დამხობას, ნატო-ს ჯარების შემოყვანას, "დამოუკიდებელი", "განუყოფელი", "დიადი" საქართველოს შექმნას XIII-ის საზღვრებში. [illegible] "ღუპანტებს" უწოდებენ. თუ ჩვენი არ გჯერათ, გახედეთ გაზეთ "ლენინსკოე ზნამია" (ა.წ. ივნის-ივლისისა). სად არიან საბჭოთა და პარტიული ორგანოები, ვისთან თანამშრომლობისაკენაც თქვენ ასე მჭევრმეტყველურად მოგვიწოდებთ ? - ისინი კვლავ მხდალი და დაბანცირებული მოლოდინის პოლიტიკას ადგანან. სწორედ ამ კაცთმოძულე და ნაციონალისტური პროპაგანდის წინააღმდეგ გაილაშქრა "ადამონ ნიხასმა". მხოლოდ "ადამონ ნიხასმა" დააყენა საკითხი სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევისა, მხოლოდ მან დაგმო ანტისაბჭოთა ზრახვები და პათოლოგიური რუსოფობია, რაც თქვენ [illegible] ცულების უმანკო ცელქობად გესახებათ მოშორიდან. ამ "ცელქობაში" უკვე დაიღვარა სისხლი თბილისში, მარნეულში, ბოლნისში, აფხაზეთში. შემდეგი სამხრეთ ოსეთი ხომ არ იქნება (რომელსაც ათასგვარად ნათლავენ -"სამაჩაბლო", "შიდა ქართლი", "თვალეთი", "წყალის-თიჯონიძის ნამიწვარი" სამხრეთ ოსეთი) ? თქვენ მოუწოდებთ ა. ჩოჩიევს, ოფიციალური ბოდიში მოიხადოს აფხაზებისადმი მიმართული თავისი წერილის გამო, ჩვენ კი გვინდა, რომ მასში გამოთქმული იდეები აფხაზი (და ოსი) ხალხის მიერ რეალური სუვერენიტეტის მოპოვებაზე მალე გამართლებულიყოს. ქართველ ნაციონალისტებს ოფიციალურად მოუბოდიშოთ და თავი დაუხაროთ ? ამას არ მოველოდით თქვენგან, ოსი გენერლისაგან. ამას არ გვასწავლის ჩვენი ისტორია. ჩვენ ჩვენი გზა - ხალხის სამსახური ყოველგვარი ნიღბის გარეშე -ავირჩიეთ. სხვა არჩევანი თქვენზეა.

გ. ს. აბოევას წერილი საზოგადოება "ყარნისადნი" დაახლოებით იგივე შინაარსისაა, რაც წინამდებარე სტატია.

"მიმართვა მათდამი, ვინც დღეს წარმართავს იდეოლოგიას" - ასე ეწოდება ა. ჩოჩიევის სტატიას. იგი წერს: არსებობს ხალხები ჭეშმარიტება-[illegible] ადამიანის სიცოცხლე ფასდაუდებელია. ამის უარმყოფელი პოლიტიკა საზიფათო და არაჰუმანურია. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ სწორედ ასეთია მათი პოლიტიკა, ვინც დღეს ქმნის ქართული ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიას. ეს პოლიტიკა მსხვერპლის შეწირვაზეა აგებული. თბილისის 9 აპრილის ამბები ატარებდნენ აშკარად ანტირუსულ ხასიათს. მსხვერპლი მარტო არმიის ბრალი არ ყოფილა, [illegible] ეს "იდეოლოგები" ისწრაფვოდნენ, რათა შეექმნათ მძლავრი ანტირუსული განწყობილება ხალხში და შექმნეს კიდეც. მარნეულისა და ბოლნისის ამბების მთავარი შედეგია მძლავრი ანტიაზერბაიჯანული განწყობილება. აფხაზეთის ტრაგედიამაც შექმნა თავისი პოლიტიკური პოტენციალი, ამასთან, აფხაზეთისადმი მიწერილ, ჩემს უკვე სახელგანთქმულ წერილთან დაკავშირებით, გარკვეულმა წრეებმა გააღვივეს ანტიოსური განწყობილება. უკვე ცნობილია ანტისომხური, ანტილეკური განწყობილებების გაღვივების ცდები. აქვეა თურქ-მესხების პრობლემაც. ეს ფაქტები გვაფიქრებს, რომ საქმე გვაქვს რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმდინარე მრავალმხრივ პროგრამასთან, რომლის მიზანი ნათელია, საშუალება კი - მსხვერპლშეწირვა. შეიძლება ბევრი რამე არ ვიცი და არც მესმის, მაგრამ ძალიან მაინტერესებს და ვერ მივხვდი, როგორი იქნება საქართველო სსრკ-დან გასვლის შემდეგ (აქ ა. ჩოჩიევი ფართოდ მსჯელობს ირანზე, თურქეთზე, მათ მიერ ხელმძღვანელობაზე საქართველოს განადგურების შესახებ, [illegible] ტერიტორიაზე, ნატო-ზე, "თურქ-მესხების", აფხაზებისა და [illegible] უფლებებზე და ამ ჯგუფებისადმი ნატო-ს დამოკიდებულებაზე, აზერბაიჯანელებზე და სხვა) ? [illegible] რიცხვი სწრაფად იზრდება. ხომ არავითარი ეროვნული, სამართლებრივი, ეკონომიკური გარანტიები არ არის, რომ გამოყოფილი საქართველო უკეთ იცხოვრებს? ქართველი ხალხის სუვერენიტეტი სხვათა უფლებების ხარჯზე ვერ მიიღწევა, ასე მხოლოდ "მცირე იმპერია" შეიძლება შეიქმნას აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, მათ შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ფორმით. მე მგონია, ისინი, ვინც ქართველი ახალგაზრდების იდეოლოგიას ქმნიან და მათ რაზმავენ "ხალხთა საპყრობილის" წინააღმდეგ, თუ არ თვალთმაქცობენ, არათანმიმდევრული მაინც არიან - თავისუფლება ხომ არ ცნობს ეროვნულ განსხვავებას. ის ჩვენ ქვეყანაში არ ყოფნის არავის, რუსებსაც, სხვებზე არანაკლებად. ქართველი ხალხის ღვთის რჩეულად გამოცხადება ხომ არ გულისხმობს არაქართველი ადამიანების მსხვერპლშეწირვის კურთხევას? აქედან სულ ნახევარ ნაბიჯზეა ფაშიზმი ! მეჩვენება, რომ მათ, ვინც მასების ფსიქოლოგიას აყალიბებენ, იციან, რაღაც არაჰუმანურს რომ აკეთებენ ! რადგან ეს ყველაფერი არა მარტო უაზრობაა, არამედ გარდაქმნასაც ხელს უშლის, უნდა ვკითხოთ - "ეს ხომ არ არის ამ დრამის სულისჩამდგმელთა, სცენარისტთა და რეჟისორთა ფარული მიზანი ?" თუ არა, უნდა შეცვალონ მეთოდები, რომლებიც ამას იწვევენ.

"ადამონ ნიხასის" ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი სტატიაში "ცუდი ადგილობრივი ბიუროკრატიის გადასარჩენად" აღშფოთებას გამოთქვამს ავტ. ოლქის ხელმძღვანელობისა და გაზეთ "სოვეტონ ირისტონის" მიმართ, რომლებიც ცდილობენ ჩირქი მოსცხონ "ადამონ ნიხასს" და ბრალს სდებენ მას "ანტისაბჭოურობაში", "ეროვნული შუღლის გაღვივებაში" და სხვა ასეთში. ამის მაგალითად ავტორებს მოჰყავთ "სოვეტონ ირისტონში" 3 აგვისტოს გამოქვეყნებული წერილი -"კვაისელი მეშახტეთა აზრი", რომელშიც "ყოვლად უსინდისოდ" ყოფილა დამახინჯებული "ადამონ ნიხასის" გამსვლელ შეკრებაზე ა. ჩოჩიევის მიერ ნათქვამი სიტყვები. "კვაისელი მეშახტეები", თურმე, ა. ჩოჩიევს უჩივიან, რომ ის "ალაგზნებდა ვნებებს, აფორიაქებდა საზოგადოებრიობას, სახელს უტეხდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, მთელ სოციალისტურ წყობას, აღვივებდა ეროვნულ შუღლს". ეს ხომ ჩვენი ბიუროკრატიის ნაცადი გამოთქმებია, - აღნიშნავენ ავტორები, -რომლითაც ისინი საღ აზრს ებრძოდნენ და ეხლაც იბრძვიან; ა. ჩოჩიევი ხომ იმას ამბობდა, რომ ჩვენ სოციალიზმში კი არა, რაღაც გაურკვეველში ავაშენეთ, რომ საჭიროა ხელმძღვანელთა სპეცპრივილეგიების გაუქმება სურსათზე თუ სხვა რამეზე, რომ ოლქის მთავრობას დამოუკიდებლად მოქმედება არ შეუძლია და, ამდენად, მარიონეტულია, რომ ერთა შორის ნამდვილი მეგობრობა შესაძლებელია მხოლოდ სუვერენიტეტის საკითხში თანასწორუფლებიანობის დროს, რომ თუ საქ. სსრ ეცდება სსრკ-დან გასვლას, მაშინ ს/ო დააყენებს თავისი სუვერენიტეტის საკითხს; "კვაისელი მეშახტეების" ეს ფალსიფიკაცია ხომ საუკეთესო პლაცდარმია ქართველი არაფორმალებისათვის ჩვენს ეროვნულ სუვერენიტეტზე თავდასასხმელად; ა. ჩოჩიევს უწოდებენ ექსტრემისტს, არადა ხომ ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მრავალი იარაღია მილიციიდან გატაცებული, "ქართველ მევარდენთა ლეგიონიც" შექმნეს თავისი რასისტული და ნაციონალისტური მიზნებისათვის. "კვაისელი მეშახტეები" დიდად დაეხმარნენ "დაუპატიჟებელ მევარდნეებს", რომლებიც კარგა ხანია მიჩვეულნი არიან ყველანაირ მძორზე დასევას. ბოლოს ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ ხალხი გაარკვევს მტყუან-მართალს და გაყვება იმათ, ვინც ერის ინტერესებს არ ანაცვალებს საკუთარ კარიერას.

"ადამონ ნიხასის" არქივი- ან რუბრიკით მოცემულია სამხრეთ ოსეთის სსრ-ს კონსტიტუციის 1921 წ-ს შედგენილი პროექტი. პროექტი შეიცავს 15 მუხლს. აი, ზოგიერთი მათგანი: "მუხლი 3. ს/ოსეთის სსრ-ში ხელისუფლება იქმნება საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია საბჭოების სრ-რუსეთის V ყრილობის მიერ". მუხლი 14. ს/ოსეთის საბჭოთა მთავრობა ეწევა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას საქართველოს მოსახლეობაში ს/ოსეთის სსრ-ს გარეთ. ს/ოსეთის სსრ-ში ეროვნული უმცირესობანი სარგებლობენ სათანადო უფლებებით. მუხლი 15. ს/ოსეთის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის ურთიერთობა [illegible]". პროექტი დამტკიცებულია ს/ოსეთის რევკომისა და პარტკომის გაერთიანებულ სხდომაზე 1921 წლის [illegible]ბერს.

ბოლოს მოყვანილია წერილი "ადამიანის უფლებების მოსკოვის საერთაშორისო კონფერენციის (1991 წ.) მოსამზადებელ კომიტეტს. ასლი: "ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციას," რომელსაც ხელს 425 კაცი აწერს. მასში გამოთქმულია აღშფოთება 20 აპრილს "ადამონ ნიხასის" წევრის, ექიმ ი. პ. გაგიევის დაპატიმრების გამო, რაც, ავტორების აზრით, გაკეთდა "ადამონ ნიხასის" კომპრომენტირებისათვის. წერილი დაწერილია 24. 04. 89.

გაზეთის ბოლოს არის ცნობა -საზოგადოება "ადამონ ნიხასი" რეგისტრირებულია 22. 06. 89.

„ხმაჲ მღაღადებლისა"

"შენ საქართველო, ისევ [illegible] ჩვენი
ცრემლებით,
წუხილი შენი ქართველებმა [illegible]
იციან,
დამყარებიან თავის-უფალს რაობა
დაგდევს,
დადგება ჟამი ქართველები ამას
იტყვიან!

დადგა ჟამი ჟამი თქმისა, მოქმედებისა. ბოლო [illegible] მანძილზე ქართველ კაცს ასე ხმამაღლა თავისი ნება-სურვილი არ გამოუთქვამს, თუმცა მისთვის მუდამ საუნჯეთა [illegible] ოცნება წინაპართგან ყოფილა ჩვენს გულებში. დადგა ჟამი, ამოხეთქა ამოქმედდა ვულკანი და მას ამიერიდან ვერც ნიღბითა და ვერც ძალით ვეღარ შეაჩერებ.

68 წლის განმავლობაში ბოლშევიკური პროპაგანდით დაბანგული საქართველო სხვა "საბჭოთა ხალხთან" ერთად აშენებდა /?/ და ძლევამოსილად გადიოდა გამარჯვებული და მომწიფებული სოციალიზმის ეტაპებს. ამ [illegible], [illegible] კაპიტნებული [illegible] "საუკუნეთა" კაცი, თანაც თურმე ორგზის, რომელსაც კომუნიზმი ჰქვია. პარტია და ხალხი ერთად [illegible] დიდ სა[illegible] საკითხებს და თურმე განუხრელად ამაღლებულა "საბჭოთა ადამიანების" ცხოვრების, კულტურისა და მატერიალური ცხოვრების დონე?! "აქედან გამომდინარე "საბჭოთა ადამიანი"=სადაც მეტწილი საზოგადოება სულიერად და მორალურად მომაკვდავი კაპიტალიზმის [illegible]ბის ქვეშ მყოფ საზოგადოებაზე მაღლა უნდა იდგეს მაგრამ ფაქტი ჯიუტია.

[illegible] მთელი ჩვენი ცხოვრება თავის კლანჭებში მოაქცია. იგი ყოველი ჩვენთაგანის უფლებებსაც წელი. [illegible] თავისუფლება, სინდისი და [illegible] ჰქვია.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ თურმე ყველა თანასწორუფლებიანი გახადა. ნაშალა მდევარი ღარიბსა და მდიდარს შორის. ოთხი წლის შემდეგ საქართველოსაც "თავისუფლად აირჩია, [illegible]". სინამდვილეში კი შეიქმნა ელიტარული ფენა, რასაც დიდად შეუწყო ხელი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულმა აპარატმა. ამჟამად ყველაფერი პარტიის ხელშია, რომელიც მარჩენელად ჩვეულივით შეჰხორცებია ხალხს და აჩანაგებს როგორც სულიერად, ასევე მატერიალურად, თანაც განუკითხავად. ელიტარული ფენისთვის არავითარი კანონი არ არსებობს, განუსჯელად აკეთებენ თავიანთ ბინძურ საქმეებს. ამასთანავე მიზნის მისაღწევად არაფერს დაგიდევენ, ჰქვია კაცის კვლასაც კი. "[illegible]", თუმც ისინი ხომ ათეისტები არიან, ურწმუნონი. [illegible] კი ბნელ საყდრებში ისხდნენ, [illegible]" ისხდნენ, [illegible] და [illegible], კარგად ჭამონ და სვან, ამისათვის ისინი ყველა ბარიერს გადალახავენ.

სწორედ მათ წაართვეს ქართველ კაცს რწმენა ღვთისა, მოსწყვიტეს იგი ქრისტიანულ სარწმუნოებას, ხოლო ურწმუნო ადამიანი ყველაფრის ჩამდენია.

ხშირად პრესა, ტელევიზია თუ რადიო [illegible] კულტურული ძეგლების დანგრევის პრობლემას, მის გადარჩენის მიზეზებს. მრავალ ფაქტორი მოჰყავთ არგუმენტად. ერთნი სკოლას ადანაშაულებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მშობლებს, შესაშურ საზოგადოებას, ისეთებიც არიან, რომლებიც დამნაშავედ ყველანი ერთად მიაჩნიათ. იმას კი არავინ ფიქრობს, რომ ამაში დამნაშავე სახელმწიფოა. ეს ბიუროკრატიული, ავტორიტარული სახელმწიფო, რომელიც ძალიან არის შეკოწიწებული და კორუფციის ლაფში ჩაშვებული, დამპალი ეკონომიურად და დაცემული ზნეობრივად.

ყველას უნდა კარგი, ლამაზი ცხოვრება. კომუნისტური წყობით ამას ვერ მიაღწევ. თუმცა სულ მუდამ პრესით, ტელევიზიით, რადიოთი თუ ლოზუნგ-მოწოდებებით ამას ჩაგვჩიჩინებენ. თუ "დიდად პროგრესიული" საბჭოთა კანონების ჩარჩოებში ვერ ჩაეტიე და ერთხელ შეცდი, შენი ზონა – ტუსაღების, დიახ, ტუსაღების და არა გამოსწორების კოლონიაში ისეთ "სასიამოვნო" პირობებში მოხვდები კაცი, შეიძლება ყველასა და ყველაფრის რწმენას დაკარგავ. მადლობა ღმერთს, ჯერ ყველას ხელი არ ჩაუქნევია და დროზე უნდა ყურადღების მიქცევა.

სტალინის ეპოქიდან ახალგაზრდა ქართველი კაცის ლექსის ერთი ნაწყვეტი აქვს წამძღვარებული. რამდენი სევდა, წუხილი გამოსჭვივის ამ სტრიქონებში და რა ძლიერი რწმენა იმისა, რომ საქართველოს დადგება ჟამი თავისუფლებისა. ამ რწმენით ცოცხლობს ტუბერკულოზით დაავადებული, კოლონიის კედლებში მომწყვდეული დათო. იგი მარტო არ არის, ასე ფიქრობს მსჯავრდადებულთა თითქმის მთელი კონტინგენტი, რომლებთანაც შეხვედრის [illegible] ჰქონდა ამ ცოტა ხნის წინ "წმინდა ილია მართლის" საზოგადოების გორის ფილიალის გამგეობის წევრებს. ამ დღეს საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა ტიპის საპატიმრო დაწესებულებებში მოეწყო აქცია მოთხოვნით: "ყველა ქართველმა პატიმარმა სასჯელი მოიხადოს საქართველოში, არცერთი მათგანი საქართველოს გარეთ".

ქსანში, ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო საპატიმრო დაწესებულებაში 500-მდე კაცია თავმოყრილი, უმეტესობა ქართველი. უკეთეს ცხოვრებისაგან გამოკეტილ სახეებს, საუბრობ მათთან და გული კვნესის, კვნესის იმის გამო, რომ ამდენ ნიჭიერ ქართველს დღესდღეობით არა აქვს შესაძლებლობა თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნულ მოძრაობაში, თუმც სურვილი კი დიდია.

" მე, როგორც საქართველოს შვილი და მისი დამოუკიდებლობის მსურველი, მთელი გულით მივესალმები თქვენს დიდ დაწყებულ საქმეს. მე მოხარული ვიქნებოდი პატარა წვლილი მაინც დამედო ჩემი ხალხის ბრძოლაში თავისუფლებისათვის, მაგრამ მე ამ საშუალებას მოკლებული ვარ და თუ კი ახლავე შეიძლება რაიმეს გაკეთება, მე მზად ვარ."

ეს წერილის პატარა მონაკვეთია, რომელსაც ნაღვლად მკვეთრად გამოსახავს ერთი პატიმარი ბერის და ასეთივე სურვილი მრავალმა მათგანმა გამოთქვა. პატიმრებმა ასეთი აზრიც გამოთქვეს: ისინი მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ სტიქიით დაზარალებულ სვანებისა და აჭარლებისათვის ბინების აგებაში. სხვათა შორის ამისათვის კი საჭიროა მათი ჩასახლებაში გაგზავნა არა საქართველოს საზღვრებს გარეთ, არამედ მათი განაწილება იმ ადგილებში, სადაც ეს ბინები იგება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარეთ განაწილებას პატიმრების უმრავლესობა კოლონიაში დარჩენას ამჯობინებს. ყველა, ვინც კი კომპეტენტურია ამ საკითხში, ვალდებულია გულისყურით მოეკიდოს ამ ფაქტს და უმოკლეს ვადაში გადაწყვიტოს დადებითად ეს საკითხი. დროა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება ჩვენი სისხლისა და ხორცის მიმართ, რამეთუ მათ თავი აღარ უნდა ჩათვალონ გარიყულებად და ჰქონდეთ ერისათვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება-საშუალება.

ძნელია ამ აღელვებული სახეების, დანდობას მოწყურებული თვალების მზერა. ჩვენი [illegible] მიიღეს განსასჯელის სკამზე, რომ ფიქრებს ასე არყევდა, მისი თავიდან მოცილება სურდებოდა.

ერთი მაგალითი: 9 აპრილს, თბილისში, საღამოს 6 საათზე, /კომენდანტის საათი ჯერ არ არის გამოცხადებული/ სამხედრო პირებმა დააკავეს ამირან არჩილის ძე ზურაბიშვილი. იგი ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად სახლში ბრუნდებოდა. ჩხრეკისას ჯიბეში უპოვეს [illegible] დანა და გადასცეს პროკურატურას. აქ კი აღმოჩნდა ბიუროკრატიული, ეგრეთ "[illegible]" დამსჯელი ორგანო და უკვე ქართველმა ჩინოვნიკებმა ტუბერკულოზით დაავადებული კაცი 1 წლით და 6 თვით "გასწორების" საპატიმროში. ამირანი თავიდან მოიცილეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ადრე ნასამართლევი იყო.

კიდევ ერთი მაგალითი. პატიმარი, რომლის გვარსაც ეთიკური მოსაზრებების გამო არ ვასახელებ, ა.წ. 10 თებერვალს პატიმართა ჯგუფთან ერთად გადაგზავნეს არხანგელსკში, სადაც მას დარჩენილი სასჯელი უნდა მოეხადა. ერთი შეხედვით აქ ისეთი არაფერია. პატიმარი განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში უნდა იხდიდეს სასჯელს, ვინაიდან საქართველოში ასეთი ტიპის კოლონიები არ არის, იგი არხანგელსკში გადაგზავნეს მაგრამ აქ ერთი ნიუანსია. პატიმარი, ისევე როგორც ამ ჯგუფის ყველა წევრი, ტუბერკულოზით არის დაავადებული. არხანგელსკში ჩასვლისას აღმოჩნდა, რომ მის საბუთებში ეს ფაქტი არ ფიგურირებდა და იგი ჯანმრთელი პატიმრებისათვის განკუთვნილ კოლონიაში მოხვდა. მადლობა ღმერთს, იქაურმა ადმინისტრაციამ ისევ საქართველოში გადმოგზავნა, მაგრამ ავადმყოფი კაცისთვის. 5 თვე გზაში/!/ ციხეებში ყოფნა [illegible], დიახ, მომაკვდინებელი. აქვს კი ვინმეს პიროვნების სიცოცხლის ხელყოფის უფლება / რომ ყველამ ვიცით, თუ 9 აპრილის შემდეგ რა დამოკიდებულებაა ქართველებისადმი რუსეთში.

ასეთი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება. დროა მეგობრებო ყველა წინ აღუდგეთ თვითნებობის იმ ჩინოვნიკების მოქმედებას, რომლებიც არაფრად აგდებენ ეროვნულს, ოღონდ თავისი თბილი სკამი შეინარჩუნონ. სულაც არ აინტერესებთ, რა უჭირთ, რა სჭირდებათ მსჯავრდადებულთ, წყალი, პური თუ წამალი, ერთი თავის ტკივილის წამალი. დროა ყველამ ერთად მივხედოთ ჩვენს სისხლსა და ხორცს, ნუ მივუშვებთ მათ [illegible] ვაი-ქართველებს და უცხო ტომის შვილებს. ნუ დარჩება მათი სურვილები "ხმად მღაღადებლისა". ყველამ ერთხმად მოვთხოვოთ პასუხი იმ გამომძიებლებს, მოხელეებს, მოსამართლეებს, რომლებიც ასე უდიერად ეპყრობიან ქართველი კაცის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და მერე ხმის ამოუღებლად გაუშვებენ, ჩვენც საქართველოს გულშემატკივარი პატრიოტები ვართ და ჩვენც ვიბრძვით საქართველოსა და ქართველების უკეთესი მერმისისათვის. დროა ყველამ მოვთხოვოთ პასუხი და სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ეს კაცთმოძულენი, დიახ კაცთმოძულენი, რადგან სხვა, უფრო რბილი "ეთიკური" მე მათთვის ვერ მოვიძებნე. მთელმა საზოგადოებამ, მთელმა საქართველომ საკადრისი უნდა მიაგოს მათ.

"მოიძღვა პატიმართა", მაცხოვრის ეს შეგონება ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს ჩვენთვის.

ეს წერილი ისევ დათოს ლექსით მინდა დავასრულო:

"ჩამოთოვა, თოვლმა ბაღებს დაფარა,
ლელე-ლელე გზას მიუყვება წყაროს
წყალი,
ძინავს სოფელს, მთვარე მუხებს ჩაუ-
თნა,
კედა ტყეში მარტოობით ყმუის ძაღლი"
/სტილი დაცულია/

წმინდა ილია მართლის საზოგადოების
გორის ფილიალის გამგეობის წევრი
მ. ჩეჩელაშვილი

წერილი ბრაზილიიდან

რუსეთის იმპერიის იმპერატორებმა ჯერ საუკუნეში, კაცობრიობის ისტორიის შავ ფურცლებზე ორი სისხლიანი კვირა ჩაწერეს. 1. 1905 წლის 22 იანვარს, კვირას, პეტერბურგში.

პეტიციებით ხელში მშვიდობიან მოსახლეობას ნიკოლოზ მე-2-მ თავისი ჯარების ცეცხლით და მახვილით უპასუხა.

2. 1959 წლის 9აპრილს, კვირა დღეს, თბილისში.

პეტიციებით ხელში, დემოკრატიულ უფლებებს მოითხოვდნენ. ამჯერად რუსეთის იმპერიის იმპერატორ გორბაჩოვმა მშვიდობიანი მოსახლეობა, ახალგაზრდობა ტანკებით გასრისა.

ჩემო საყვარელო სამშობლოვ, კიდევ სამშობლოს ცათა [illegible] მწუხრის ზარი გაგვაყრევინა.

ძალიან ვწუხვარ, რომ მეც მათთან არ ვიყავი და იმ 19 ქართველ პატრიოტთა გვერდით არ [illegible].

ერთი კი არა, ათასი სიცოცხლეც რომ მქონდეს, ათასსავე შევწირავდი ჩემი საყვარელი სამშობლოს საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობა თავისუფლებას. ქართველო პატრიოტებო, ჩვენო დებო, ძმებო, შვილებო. მაგ ამბის გაგებით მე აქ უცხოეთში, ზღვა ცრემლები დავღვარე.

ქართულ ქრისტიანულ კაცთმოყვარეულ გრძნობებით ჩაგიმღერებთ:

თქვენ, ჩვენს დიდ მეფე დიმიტრი თავდადებულის მსგავსად, სამშობლოს თავი
შესწირეთ,

და თქვენს დაღვრილ სისხლს [illegible]
ისტორიაში შესვლები.

როგორც რუსეთის იმპერიის მხეცობას,
ყველასთვის ფარდა ახადეთ.
და არასდროს თუ ქართველი ერი, მსოფლიოც
არ დაგივიწყებთ.

თქვენს საფლავებზე ამოვა ია და ვარდი
მშვენიერი,
რომელსაც ქართველი ერი არა დაგიჭკნობს,
მორწყავს სულის ალერსით.

და ყოველთვის მოგირწყავთ, თქვენს
მოგონების ცრემლებით.

[illegible] გამოგზავნილი ბრაზილიიდან.

შენიშვნა: ბატონი გ. ჯაბაშვილი თითქმის ორმოცი წლის წინ წავიდა საცხოვრებლად ბრაზილიაში.

ქრონიკები

„პროლეტარიატის საერთაშორისო [illegible] - ჩვენი იდეალების გზით" - ამ წერილით აღნიშნა გაზეთმა „[illegible] ცხოვრებამ" /[illegible].10.89/ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 40 წლისთავი. /შეიქმნა 1949 წ. 1 ოქტომბერს/

სოციალიზმი ჩინეთში [illegible] წლის ჩვილი, ტირანიის ნაცადი სისხლის ღვრით შეიქმნა. ჩვენში კი 9 აპრილს [illegible], გაოგნებული ვიყავით ჩინელი სტუდენტების გზით.

„სიამოვნებით აღვნიშნავ ამისა, - გვარწმუნებს გაზეთის განთქმული პოლიტიკური მიმომხილველი [illegible], - ..[illegible] ჩინეთის ხალხს მეტი სიკეთე მოუტანა".

ამას წინათ სსრკ-ში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთის კომუნისტთა ხელმძღვანელი მ. რაკოვსკი. მას თან ახლდნენ ჟურნალისტებიც, რომლებმაც ინტერვიუ ჩამოართვეს მ. გორბაჩოვს. [illegible], [illegible] პოლონელ [illegible] [illegible]: „პირველ რიგში [illegible], რომ [illegible] ჩვენს [illegible]....."

[illegible] პოლონელთა [illegible] და [illegible]!

„საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის სხდომაზე....აღინიშნა, რომ სასწავლო-საანგარიშო კრებები დაინიშნა მიმდინარე წლის 7 აგვისტოს და გაგრძელდა 17 ოქტომბრამდე. კრებები ჩატარდა 46 [illegible] და 56 [illegible] ორგანიზაციაში. კრებებზე [illegible] მონაწილეობა 363 კომუნისტმა"./გაზ. „გამარჯვება" [illegible].10.89/.

[illegible]! [illegible] კრებების [illegible] ჩვენს ქალაქში -363 კომუნისტი „[illegible] არ გამოდგა, [illegible]".

ნეტავ ქართველო,
სულო ქართველო,
ჩვენ საქართველოვ.
დიდი ოცნებისათვის ჯვარზე გაკრულო,
საქრისტიანოს დროშავ გაშლილო,
ღვთისმშობლის [illegible], ნეტავ ქართველო,
ერის დიდებავ, შენ საქართველო!
....
ღვთისგან ნაკურთხო ო ნიჭი და მადლო,
დიდი რუსთველის ხელში ნაქარგო.
დავითის ხელით [illegible] ხმალო,
დიდგორის მინდორავ, შენ საქართველო!
......
ქართველი კაცის დიდი იმედო,
[illegible] ამოკვეთილო,
[illegible], [illegible],
[illegible] ამოკრეფილო.
....
[illegible] ჯვარის [illegible],
ქართველი კაცის ნაჭედი ხმალო,
[illegible] ბრძოლის [illegible],
ჯვარცმული ღმერთით, შენ საქართველო!
.....
ნეტავ ქართველო, ოცნებავ ტკბილო,
[illegible] ერავ, სულო ქართველო.
თავისუფლება, თავისუფლება.
[illegible], შენ საქართველო!

[illegible] ღმერთი, [illegible] და
სამოთხეები,
[illegible] ბინა,
[illegible] ანგელოზთა [illegible] კრებული
[illegible] კალთა [illegible] ვიდან.

[illegible] ჩვენს [illegible] პატარა
ნაშთებს,
ანგელოზებმა [illegible]
[illegible],
[illegible] ქვეყანა, [illegible] ღმერთი არ
დაგვაყენე,
[illegible] კაცთ [illegible] წმინდა,
გონება სალი.

[illegible] თავის
სიწმინდე,
და [illegible] ჯვარი და
კარი,
[illegible] შენს კალთის ქვეშ
კიდევ [illegible],
[illegible] ღმერთი, [illegible]
მკვდარი.

აკურთხე სანთლებს, მუხლმოყრილი თავთან
დავდგები,
და ნუ [illegible]
[illegible],
გაუნათე ღამეს, [illegible] განათებულს
[illegible] თვალს წინ
[illegible].

წმინდა ნინოვ, ერი ვედრებას კიდევ
ბედავს,
შენ გაარჩიე სამართალი ცრუსა და
მართლის,
შენ ხომ ყოველის [illegible]
ციდან,
აღარ ჩააცვა საქართველოს კვლავ მძიმე
თალხი.

[illegible] ჩემო [illegible] გაქრავდა,
[illegible] დადუმდა, ცრემლი დაშრებოდა.
[illegible] ჩამოჰკრა [illegible],
ა [illegible] მოგუდა.
....
[illegible] სიტყვა [illegible],
[illegible] წყვდიადის [illegible] ცისა.
[illegible] ხმალი [illegible],
[illegible] კაცისა, ერის კაცისა.
....
[illegible] არ არის გრძნობა [illegible],
ა [illegible] კაცი მართალი, [illegible].
[illegible] ხატზე შენი სულისთვის,
ა [illegible] ამ [illegible]!
....

სულზე [illegible], მამულო ჩემო:
[illegible], კახეთის [illegible],
[illegible] ოქროს [illegible],
ქართლის [illegible]
[illegible].

....
[illegible] თბილისის უბე,
მზე [illegible],
[illegible] შენ [illegible]
[illegible], [illegible] საქართველო.
....
სულ ასე ვლოცულობ: [illegible] საქართველო,
[illegible] ერი და [illegible] ერთგული,
[illegible],
[illegible]! [illegible] მამული.
....
მტერი [illegible] ავი და ბოროტი,
ჩვენ და [illegible]
[illegible],
ქართველო! [illegible]
[illegible],
ღვთისმშობლის წილია ეს ჩემი მამული.
....
[illegible],
ხმალი ქართველი, [illegible],
შენ: [illegible], [illegible], [illegible], [illegible]
გიყვარდეს საქართველო, ღვთისნიერი
მამულო!

მიმართვა

წმინდა ილია მართლის საზოგადოების გორის ფილიალის გამგეობა [illegible]: ჩვენს საზოგადოებას [illegible] მიმართავენ მოქალაქენი, რომლებიც წლების მანძილზე გადაუჭრელი საყოფაცხოვრებო პრობლემები [illegible]. [illegible] თანაგრძნობისა და პატივისცემისა [illegible], აგრეთვე იმ მოქალაქეების განცხადებისა, რომ საზოგადოება არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის [illegible] საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღდგენა, [illegible] და [illegible] არ კლებულობს და რაც მთავარია [illegible], [illegible] ერთი უმთავრესი რამ: ჯერ კიდევ ფუნქციონირებს [illegible] ბიუროკრატიული აპარატი, რომელსაც ქალაქში და რაიონში [illegible] თანამდებობები, ამიტომ ჩვენი ძალისხმევა არც თუ საკმარის შედეგს გამოიღებს. თუმცა იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ყველანი, როგორც ერთი, დავდგებით იქ, სადაც სიმართლეა, სადაც სინათლეა და [illegible] ქართველი ერი, მაშინ [illegible] ყველა [illegible] პატრიოტის ოცნება - იხილოს თავისი სამშობლო თავისუფალი.

სარედაქციო კოლეგია: ს. ლელუაშვილი
მ. ცომაია, ე. გიუნაშვილი, გ. ჩეჩელაშვილი, კ. ხეთაგური.